NEWSLETTER

BTU-ს ბაზაზე სტარტაპისთვის მოპოვებული მილიონ ლარზე მეტი დაფინანსება INFLUENCE GEORGIA-მ მოიპოვა

ინოვაციურმა ქართულმა სტარტაპმა, influence.ge 1,300,000 ლარიანი დაფინანსებას მოიპოვა.
გლობალურმა სტარტაპ ფონდმა, რომელიც სილიკონ ველი თბილისში ისრაელის სილიკონ ვადისთან პარტნიორობით დაფუძნდა, ქვეყნისთვის უპრეცედენტო მასშტაბის გარიგებას მოაწერა ხელი.
აღნიშნული ინვესტიცია საქართველოში პირველად ხორციელდება და მისი თანადაფინანსება საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ განახორციელა.

HP CUP

HP CUP-ის ყოველწლიური ჰაკათონის საქართველოში ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება კომპანია HP-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, შუა აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნების რეგიონალურმა დირექტორმა, ვერტიკალური ინდუსტრიული გადაწყვეტილებების მიმართულებით ჟან-მარკ ოლივიერომ და ხელმძღვანელმა, მთავრობასთან ურთიერთობის საკითხებში მარკუს შვერცელმა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში მიიღეს.
ჰაკათონის წლევანდელი თემა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ვიზუალური მონაცემების შექმნა იყო - 3D მოდელები და თამაშები, ანიმაცია, ინფოგრაფიკა, ვირტუალური და გაფართოებული რეალობა, ინტერაქტიუილი რუკები და სხვა გადაწყვეტილებები, რომლებზეც მონაწილეები 2 დღის განმავლობაში მუშაობდნენ.
მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით შერჩეულმა საუკეთესო გუნდებმა შეძლეს, რომლებმაც საკუთარი იდეების დასამუშავებლად გამოიყენეს „სილიკონ ველი თბილისის“ HP LAB-ში არსებული ბოლო თაობის სამუშაო სადგურები HP Z8, Z4 და ვირტუალური რეალობის მოწყობილობები.
ამარჯვებულ გუნდს “RAD” (Recognize, Analyze, Digitalize) გადაეცა HP CUP, რომელიც 2 დღიანი ჰაკათონის განმავლობაში თითოეულ მონაწილეს დიდ მოტივაციას აძლევდა.
მთელ გუნდს შემდგომი საქმიანობისთვის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა გადასცა HP-ის Workstation. საინტერესო პრიზი გახლდათ ასევე თბილისის მერიის ბიზნეს აქსელერატორ „სპარკის“ პრიზი - 1-კვირიანი საგზური ესტონეთში, სადაც გამარჯვებული გუნდი გაივლის აქსელერაციას და მოახდენს პროდუქტის კომერციალიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.
ჰაკათონის ოფიციალური პარტნიორი “პროკრედიტ ბანკი” იყო. ჰაკათონის ფარგლებში ბანკის ენერგოეფექტურობის ექსპერტმა ლევან ხმიადაშვილმა ჩაატარა ვორქშოფი თემაზე: Eco Mobility. ბანკმა რჩეულ გუნდს Fitbit Watch გადასცა.

რეგიონში პირველი ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტი BTU AI გაიხსნა

რეგიონში პირველი, ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტი საქართველოში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაზაზე იწყებს ფუნქციონირებას. ეს იქნება საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებას განათლებასა და ბიზნესის სხვადასხვა სექტორში მოახდენს.
BTU AI -ის პროექტს, მიხეილ ბატიაშვილი უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციების - Microsoft, HPE და HP -ის ჩართულობით ახორციელებს.
უნივერსიტეტი მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიებით, სამუშაო სივრცეებით, კვლევითი ცენტრით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, აუდიტორიებით და სამეცნიერო პროექტების განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსით იქნება წარმოდგენილი.
აღნიშნულ სამუშაო სადგურებში აქცენტი გაკეთებულია ისეთ მოწყობილობებზე, (ვიდეო ადაპტერები) რომლებიც დიდი ოდენობით მონაცემების დამუშავებაზე მათზე მათემატიკური გამოთვლების წარმოებით იქნება გამოყენებული. AI -ის მიმართულებით, სადოქტორო პროგრამაზე პირველი მიღება 2020 წელს გამოცხადდება.

გაეცანით BTU- ში გამართული ღონისძიებების ჩამონათვალს

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა უმაღლეს სასწავლებლებს შორის პროგრამირებაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალს, სამხრეთ კავკასიის ღია ჩემპიონატსა და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადის ფინალს უმასპინძლა

- ხელოვნური ინტელექტის ბიზნეს ასოციაციის პრეზენტაცია - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის და ხელოვნური ინტელექტის ბიზნეს ასოციაციის პარტნიორობით, კვლევა დაანონსდა. კვლევის მხარდამჭერია გაეროს ხელოვნური ინტელექტის და რობოტიკის ცენტრი

■ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაზაზე მსოფლიოს საცალოდ ვაჭრობის ლიდერი ქვეყნის, საფრანგეთის ISC PARIS BUSINESS SCHOOL-ის საცალოდ ვაჭრობის კურსი 2020 წლის თებერვალში დაიწყება. ორმაგი აკრედიტაციის მქონე საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამის პრეზენტაცია ნოემბერში გაიმართა

■ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს ინვოაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით იდეათონი: "ტექნოლოგიების და მეწარმეობის სფეროში ქალთა როლის გაძლიერება" გაიმართა. იდეათონის მთავარი თემა იყო - "როგორ მოვიზიდოთ ახალი ადამიანები ტექნოლოგიებსა და მეწარმეობაში".

იდეათონის პარტნიორები იყვნენ : GEPRA, Lab, Griffin, APM Poti Terminal, Crystal.

■ GITA-ს თავმჯდომარე ავთანდილ კასრაძე BTU-ს სტუდენტებს შეხვდა და სტარტაპების დაფინანსებისა და ამ ეკოსისტემის განვითარების გზებზე ესაუბრა

■ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალისთვის მოეწყო აშშ-ს საელჩოს საინფორმაციო დღე განათლებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ

■ AWS – Amazon Web Services ღია ლექცია - ლექციასე საუბარი იყო ღრუბლოვან გამოთვლებზე, როგორია ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ძირითადი იდეა, როგორ არის შესაძლებელი მათი გამოყენება აქტუალურ ამოცანებში და როგორი დასაქმების პერსპექტივა არსებობს ამ სისტემების ათვისებით, კონკრეტულად კი AWS (Amazon Web Services)

■ ღია ბანკინგი ციფრული ეკოსისტემის განვითარებისთვის - BTU და საქართველოს ბანკის ერთობლივი ღონისძიება ემსახურება მნიშვნელოვან გამოწვევას, ფინტექ კომპანიებსა და ბანკებს შორის, კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, მონაცემების გაცვლის სტანდარტიზაციას. ღონისძიების მიზანი, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოში ღია ბანკინგის სტანდარტების შესაძლებლობებისა და გამოწვევების განხილვა ოყო

■ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას მაგისტრანტობის მსურველებთან და აბიტურიენტებან. ღია კარის დღეებს ყოველთვიური ხასიათი აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ BTU-მ აბიტურიენტებისათვის დაიწყო მოსამზადებელი ტრენინგი მათემატიკაში, ამ ეტაპისთვის ჩატარდა ორი ტრენინგი. მოსამზადებელი კურსი ინტენსიურ ხასიათს თებერვლიდან მიიღებს.
მაგისტრანტობის მსურველებს კი მარტიდან ექნებათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა მოსამზადებელ კურსში საერთო სამაგისტრო გამოცდის B ტიპის ტესტისათვის.

თბილისის მერიის ბიზნეს აქსელერატორი სპარკის დემო დღე
კოდინგის სკოლა ქალებისთვის დასრულებულია

კარიერული განვითარების ცენტრის განახლებული სტრატეგიები

კარიერული განვითარების ცენტრმა განახლებული ძალებით დაიწყო მუშაობა და ბოლო სამი თვის განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია:

- აქტიური კომუნიკაცია დაიწყო 50 ახალ კომპანიასთან
- სტაჟირების პროგრამაში ჩართო და დაასაქმა 30 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი
- ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ჩაატარა რიგით მესამე „დაასაქმე სმარტსტუდენტის“ ღონისძიება, სადაც ოცდაათმა საერთაშორისო და ადგილობრივმა კომპანიამ დაანონსა ორმოცდაათამდე ვაკანსია
- ბაკალავრიატის 75 სტუდენტმა გაიარა ტრენინგ კურსი Agile მეთოდოლოგიაში
- ფინანსების პროგრამის 12 სტუდენტმა გაიარა ტრენინგ კურსი ბაზის ბანკში
- მაგისტრატურის 25 სტუდენტმა გაიარა ტრენინგ კურსი IT IN BUSINESS-ში
- ბოლო სამი თვის განმავლობაში კარიერული განვითარების ცენტრი 200 სტუდენტს დაეხმარა ბიზნეს კომუნიკაციის მხარდაჭერის ნაწილში

ჰარვარდის კლუბის შეხვედრები

BTU- ში არსებული ჰარვარდის კლუბის წევრები აგრძელებენ ჰარვარდის კურსდამთავრებულებთან შეხვედრებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსურების განაკვეთის თაობაზე კლუბის წევრებმა მაია მელიქიძესთან ერთად ისაუბრეს, სტუდენტებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა ანა ლომთაძემაც.
ჰარვარდის კლუბის წევრებმა ინტენსიურად დაიწყეს ბლოგების გამოქვეყნება BTU-ს ვებგვერდზე.
ბლოგების სანახავად ეწვიეთ ბმულს: https://btu.edu.ge/ka/bibliotheka/h-br-a-mit-blog

სწავლის ხარისხის განვითარებაზე ზრუნვა ჩვენი პრიორიტეტია

SAP SOCIAL SABBATICAL-ის ექსპერტები BTU-ში

2019 წლის 31 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები - კონსულტანტები SAP Social Sabbatical-იდან, რომლებიც სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების პროექტზე მუშაობენ. სტარტაპების ციფრული ინკლუზია და ციფრული მეწარმეობა ის მიმართულებებია, რომელშიც ამერიკელი და ევროპელი კონსულტანტები შეხვედრებს BTU-ს აკადემიურ გუნდთან მართავენ. ასევე, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და შეისწავლეს BTU-ს საქმიანობა და მართვის სისტემა, მიმდინარე პროცესები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტთა შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული პროექტები და სხვ.
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ექსპერტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ექსპერტების აზრით, მათი რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებით BTU შეძლებს საკუთარი პოტენციალის უკეთ რეალიზებას, ხელს შეუწყობს სტუდენტების, პერსონალისა და პარტნიორი მცირე და საშუალო საწარმოების დიჯიტალიზაციას და შედეგად მნიშვნელოვან და გამორჩეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარებაში.

ექსპერტთა გადაწყვეტილებით BTU-ს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 5000-მდე გაიზარდა

2019 წლის 14-15 ნოემბერს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის მიზანი იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა ზღვრული კონტინგენტის გაზრდის გათვალისწინებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სხვა ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლებს, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასების და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი საგრძნობლად განვითარდა და მას გააჩნია შესაბამისი პოტენციალი, რაც არის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდის რეკომენდაციის საფუძველი.
მიმდინარე წლის 11 დეკემბერს ექსპერტთა დასკვნა და უნივერსიტეტის პოზიცია განიხილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ, რომლის გადაწყვეტილებით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს გაეზარდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და დღეისათვის იგი შეადგენს 5000 სტუდენტს.

სიახლე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საგანმანათლებლებლო საქმიანობაში

დასრულდა ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპმენტი და ოპერაციები (DevOps)“ შემუშავების პროცესი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე დარგის სპეციალისტები - სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროგრამა ითვალისწინებს დარგში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

საერთაშორისო ურთიერთობები BTU-ში

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებები გააფორმა შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- პარიზის ბიზნესის სკოლა, საფრანგეთი
- რომის ბიზნესის სკოლა, იტალია
- ტუშას უნივერსიტეტი, იტალია
- ფეხტას უნივერსიტეტი, გერმანია
- აშაფენბაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ლიეტუვა
- აფიონ ქოჯათეფეს უნივერსიტეტი, თურქეთი
- ლვოვის ნაციონალური პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სრულად დაფინანსებული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი მიემგზავრებიან:

- ლიმერიკის უნივერსიტეტში, ირლანდია
- კარლოს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, ირლანდია
- კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, გერმანია
- კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, გერმანია
- ბრაგანჩას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, პორტუგალია
- რჟეშოვის უნივერსიტეტში, პოლონეთი
- რჟეშოვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, პოლონეთი

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის (Erasmus+ ICM) პროგრამის დაფინანსების მოსაპოვებლად მზადდება 12 ახალი საპროექტო განაცხადი ევროპის წამყვან უნივერსიტეტთან ერთად.
ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების (CBHE) პროგრამის დაფინანსების მოსაპოვებლად მზადდება 4 ახალი საპროექტო განაცხადი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთან ერთად.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური აგრძელებს აქტიურ კომუნიკაციას სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან

- სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციისათვის და მათგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღების მიზნით, გაიმართა ყოველთვიური (ყოველი თვის ბოლო პარასკევს) შეხვედრები სტუდენტებთან
- ჩატარდა BTU-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა
- ჩატარდა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა
- სტუდენტებისგან უფრო სიღრმისეული უკუკავშირის მიღების მიზნით, ჩატარდა შეხვედრა სტუდენტების ფოკუს-ჯგუფებთან

BTU- ში განხორციელებული კვლევითი აქტივობები

- დასრულდა მეწარმეობის ცენტრთან დაგეგმილი კვლევის “საქართველოში არსებული სამეწარმეო ეკოსისტემის ეფექტიანობის შესწავლა” პირველი ეტაპი
- რუსთაველის ფონდის კონკურსში „მეცნიერების პოპულარიაზაცია“, უნივერსიტეტმა მოიპოვა ჯილდო (10000 ლარი) ტექნოლოგიური ფესტივალის ჩასატარებლად. ტექნოლოგიური ფესტივალის ერთ-ერთი განყოფილება ეთმობა კვლევების ცენტრში დაგეგმილი კვლევების პოპულარიზაციას
- Alma Mater Europea -ს უნივერსიტეტთან დაიდო მემორანდუმი ერთობლივი კვლევითი სამეცნიერო პროექტის განხორციელებისთვის (CaProSoc)-ის პროგრამის ფარგლებში
- მსოფლიო ბანკის საგრანტო კონკურსში „გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები“ მომზადდა და წარდგენილ იქნა საგრანტო პროექტი: “ქარის ავტომატური მართვის მქონე ვერტიკალური ტურბინის შემუშავება საქართველოს ენერგეტიკული და სოფლის მეურნეობის პოტენციალის გაძლიერებისთვის”
- დაიგეგმა და 24.12.2019 - განხორციელდება ჰორიზონტ2020 -ის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისთვის აფილირებული პროფესორებისთვის ტრენინგის ჩატარება, რომელსაც ჩაატარებს ჰორიზონტ2020 კოორდინატორი საქართველოში ნათია გაბიტაშვილი

საქართველოში მეწარმეობის ცენტრი ჩამოყალიბდა

ჰენლის მეწარმეობის ცენტრთან ერთად, რომელიც ACCSB მიერ აღიარებულია, როგორც მსოფლიო 20-ეულში შემავალი ცენტრი, ჩამოყალიბდა საქართველოს მეწარმეობის ცენტრი.

- ვესტმინსტერის პროექტის პრეზენტაცია - ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია, რომლის მთავარი აქცენტია ბენეფიციარებისთვის ტექნოლოგიური უნარჩვევების განვითარება, მათი საქმიანობის გაციფრულება და ყველა იმ აქტივობაში, რომელიც მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარებას ემსახურება, რეგიონალური ჩართულობის გაზრდა
- ცენტრის ფარგლებში დაიწყო მეწარმეობის სფეროს კვლევა, რომელიც შეეხება მეწარმეების წვდომას ფინასებზე, რა სირთულეები და შესაძლებლობებია რეგიონში ამ მხრივ
- English Clubs-გამოცხადდა მიღება და შეირჩა 20 სტუდენტი, რომელიც ჩაერთო ბრიტანეთის საბჭოს საპილოტე პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები 20 კვირის განმავლობაში, კვირაში ორჯერ ხვდებიან მასწავლებელს ჯგუფურად 90 წუთის განმავლობაში და მუშაობენ მათი საკომუნიკაციო და ბიზნეს ინგლისურის დონის ამაღლებაზე
- SkillUP ვორქშოფების სერია - გამოცხადდა მიღება სქილაფ ვორქშოფების სერიაზე და ჩატარდა 8 სესია. ვორქშოფები შეეხებოდა იმ სფეროებსა და უნარებს, რომლებიც სტარტაპებს განვითარებისათვის სჭირდებათ (ანტრეპრენერშიფი, ინოვაციები; მარკეტინგი; ფინანსები; სეგმენტაცია; ვებ-გვერდის შექმნა; ფიჩინგი)
- English Select- გამოცხადდა მიღება და შეირჩა გუნდი, რომელიც გაივლის ბრიტანეთის საბჭოს მიერ მოწოდებულ ინგლისური ენის შემსწავლელ ონლაინ კურსს
- ბიზნეს კლინიკა - გამოვაცხადეთ on-going მიღება ბიზნეს კლინიკის სერვისებზე და დავიწყეთ შეხვედრები.
- ციფრული სკოლა- დაიწყო მუშაობა ციფრული სკოლის კონტენტისა და სტრუქტურის აგებაზე. ციფრული სკოლა იქნება პლატფორმა სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება მიიღოს ინფორმაცია და მეტი ცოდნა მეწარმეობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პლატფორმა რეგიონებისათვის, რადგან დისტანციურად ვაძლევთ ცოდნის მიღების საშუალებას.
- ტექ-ვორქშოფები - გამოვაცხადეთ მიღება, გადავარჩიეთ ჯგუფი, რომელიც ამჟამად გადის ვორქშოფების კურსს. ვორქშოფების ფარგლებში ბენეფიციარები მუშაობენ გრაფიკული დიზაინის, UI/UX და e-commerce-ის თემებზე.
- 20 დეკემბერს გაიმართა შემოქმედებითი ნაპერწკალის პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

BTU-ს მეწარმეობის ცენტრი

ბიზნეს კლინიკის ფარგლებში განხორციელდა 10 შეხვედრა, როგორც სტუდენტებთან, ისე მეწარმეებთან, რომელთაც მეწარმეობის ცენტრის ხელმძღვანელისგან მიიღეს კონსულტაციები თავიანთი ბიზნესისა თუ სტარტაპ იდეის განვითარებისათვის.

- გაიმართა MIT-ის გლობალური სტარტაპ ლაბის პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან, რომლებმაც მიიღეს ინფორმაცია ზოგადად პროექტისა და აპლიკაციის შევსების წესების შესახებ.
MIT-ის გლობალური სტარტაპ ლაბის აპლიკაციების მიღების პროცესში, ცენტრის ხელმძღვანელი შეხვდა 100-მდე BTU-ს სტუდენტს, რომელთაც გაუწია პირადი კონსულტაცია, ხოლო 30-მდე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტმა მიიღო სატელეფონო კონსულტაცია
- მეწარმეობის ცენტრის ხელმძღვანელმა და დეკანმა გამართეს შეხვედრა ლექტორებთან, რომლებიც უნივერსიტეტში ასწავლიან შემდეგ საგანს - „შესავალი მეწარმეობაში“. შეხვედრა კითხვა- პასუხის რეჟიმში წარიმართა. ცენტრის ხელმძღვანელი 5-მდე ლექციას დაესწრო ლექციის პროცესის მონიტორინგის მიზნით.
- 29 ნოემბერს მეწარმეობის ცენტრის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო Eurasian Startup Awards-ის პანელურ დისკუსიაში, სადაც უცხოელ პანელისტებს და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია როგორც ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საქმიანობის და მიზნების, ისე ზოგადად საქართველოში არსებული ინოვაციების და სტარტაპ ეკოსისტემის შესახებ.
- გაიმართა 15-მდე შეხვედრა სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათთან სამომავლოდ თანამშრომლობის დაწყების მიზნით

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა 3 თვის განმავლობაში გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი შემდგეგ ორგანიზაციებთან:

- სს ევექსი
- შპს ნიუ ჰოსპიტალსი
- ლვოვის უნივერსიტეტი
- ISC PARIS BUSINESS SCHOOL
- AFYON KOCATEPE UNIVERSITY (TUKEY)
- ROME BUSINESS SCHOOL
- შპს საქმე.ჯი
- საჯარო აუდიტის ინსტიტუტი